



# საჩუქრეთა წიგნი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



## სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების  
სამინისტროს ხელმძღვანელობას

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
საანგარიშგებო პერიოდისთვის  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების  
აუდიტის ანგარიში

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს  
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

მოგესხენებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაიცა უარყოფითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში და წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში – ARIS ([www.aris.sao.ge](http://www.aris.sao.ge)).

პატივისცემით,

**ცოტნე ყავლაშვილი**

გენერალური აუდიტორი

|                                                                                      |    |
|--------------------------------------------------------------------------------------|----|
| ტერმინები და შემოკლებები.....                                                        | 3  |
| 1. რეკომენდაციები .....                                                              | 4  |
| 2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები.....                         | 7  |
| 3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის<br>საკითხები ..... | 23 |
| 4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა .....               | 25 |
| საკონტაქტო ინფორმაცია.....                                                           | 30 |

## ტერმინები და შემოკლებები

**ეკონომიკის სამინისტრო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

**სამინისტროს აპარატი** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აპარატი.

**ავიაციის სააგენტო** – სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.

**აკრედიტაციის ცენტრი** – სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი.

**აქტივად აღიარების კრიტერიუმები** – ერთეული მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს ან მომსახურების პოტენციალს და ერთეულისათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.<sup>1</sup>

**აღრიცხვის ინსტრუქცია** – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

**ავიაციის სააგენტო** – სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.

**აწარმოე საქართველოში** – სსიპ – აწარმოე საქართველოში.

**ინოვაციების სააგენტო** – სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო.

**მეტროლოგიის სააგენტო** – სსიპ – სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო.

**მინერალური რესურსების სააგენტო** – სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო.

**ნავთობისა და გაზის სააგენტო** – სსიპ – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო.

**ოუფენ ნეტი** – ა(ა)იპ – ოუფენ ნეტი.

**საზღვაო აკადემია** – სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

**საზღვაო სააგენტო** – სსიპ – საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

**სახმელეთო სააგენტო** – სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო.

**სსბასს** – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS).

**სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი სააგენტო** – სსიპ – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო.

**ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო** – სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.

**ტურიზმის ადმინისტრაცია** – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

**ფინანსთა სამინისტრო** – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

**ქონების ეროვნული სააგენტო** – სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

**ჰიდროგრაფიული სამსახური** – სსიპ – საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური.

<sup>1</sup> სსბასს 17, პუნქტი 14.

## 1. რეკომენდაციები

### 1.1 მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, გარდა პროცენტისა

#### აუდიტის მიგნება

სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში აკადემიაში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული სტუდენტების მიერ ზედმეტად ჩარიცხული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო პროცედურები. კერძოდ, რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს დაინტერესებულმა პირმა და რა დოკუმენტაცია/ინფორმაცია უნდა შემოწმდეს საზღვაო აკადემიის მიერ თანხის დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნულის გამო, 2023 წელს ერთი განაცხადის საფუძველზე უკან დაბრუნებულია 1,125 ლარი, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და საზღვაო აკადემიის მხრიდანაც ვერ მოხერხდა ჩარიცხული თანხის იდენტიფიცირება.

#### მიზეზი

კონტროლის მექანიზმების სისუსტე.

#### გავლენა

საბიუჯეტო თანხების არაეფექტიანი და არაეკონომიური განკარგვის რისკი.

#### რეკომენდაცია

სტუდენტების მიერ ჩარიცხული თანხების უკან დაბრუნების პროცედურებზე სათანადო კონტროლის მექანიზმების არსებობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია საზღვაო აკადემიამ შეიმუშაოს და დანერგოს ჩარიცხული თანხის სტუდენტებისთვის უკან დაბრუნების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო პროცედურები.

#### კომპონენტები, რომლებზეც

#### გაიცა რეკომენდაცია

#### შესასრულებლად

სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

### 1.2 სუბსიდიები

#### აუდიტის მიგნება

სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მუხლში – „სუბსიდიები“ აღიარებულია მიკრო და მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებზე გაცემული თანხების შესაბამისი ხარჯი – 24,549,628 ლარის ოდენობით. ბენეფიციარებთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაცემული თანხები უნდა გაიხარჯოს ხელშეკრულებაში გაწერილი პირობების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ თანხები გაიხარჯება არამიზნობრივად, ასეთი თანხები ექვემდებარება სააგენტოსთვის უკან დაბრუნებას.

აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნების თანახმად,<sup>2</sup> ტრანსფერით აქტივის მიღების პირობაა – ერთეულისაგან მისი მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალი დანიშნულებისამებრ იქნეს გამოყენებული. პირობის დარღვევის შემთხვევაში, აქტივი უნდა დაუბრუნდეს ტრანსფერის განმახორციელებელ ერთეულს. შესაბამისად, განსაზღვრული პირობის თანახმად, აქტივზე თავდაპირველი კონტროლის მოპოვებისას, მიმღები იღებს მიმდინარე ვალდებულებას დანიშნულებისამებრ გამოიყენოს აქტივი; ასევე აღრიცხვის ინსტრუქციის თანახმად, ეკონომიკური მოვლენები ბუღალტრულ აღრიცხვაში

<sup>2</sup> სსბასს 23 - შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები), მე-7, მე-17, 21-ე და 22-ე მუხლები.

აისახება პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების საფუძველზე, დარიცხვის მეთოდით.

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სააგენტო აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაცემული სუბსიდიის თანხას ხარჯად აღიარებს მაშინ, როდესაც პროგრამის ბენეფიციარებისთვის თანხა გადაირიცხება და არა მაშინ, როდესაც პროგრამის ფარგლებში გაცემული თანხის ხარჯვის მიზნობრიობა დადასტურდება. სააგენტოს მიერ „სუბსიდიების“ მუხლში მიკრო და მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში აღიარებულ 24,549,628 ლარის ოდენობის ხარჯიდან, 21,620,132 ლარის ოდენობის სუბსიდიის ხარჯზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის მონიტორინგი და შესაბამისად, მიზნობრიობის დადასტურების პროცესი დასრულებული არ ყოფილა.<sup>3</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, 21,620,132 ლარი არ აკმაყოფილებს ხარჯად აღიარების კრიტერიუმებს.

#### მიზეზი

აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.

#### გავლენა

ფინანსური ანგარიშების მუხლებში – „სუბსიდიები“ და „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები“ არსებული უზუსტობები.

#### რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, სსიპ-მა – აწარმოე საქართველოში შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მიკრო და მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში გაცემული თანხების ხარჯად აღიარებას შესაბამისი ხელშეკრულებების მონიტორინგის შედეგების მიხედვით.

#### კომპონენტი, რომლებზეც

სსიპ – აწარმოე საქართველოში.

#### გაიცა რეკომენდაცია

#### შესასრულებლად

### 1.3 გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიები

#### აუდიტის მიგნება

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით,<sup>4</sup> მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულება უნაზღაურდება ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში<sup>5</sup> მუდმივად მცხოვრებ მოსახლეობას (აბონენტებს) 2022 წლის 1 დეკემბრიდან 2023 წლის 15 მაისის ჩათვლით და 2023 წლის 15 ოქტომბრიდან 2023 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდებში – წლიურად 4,900 კუბ.მ-ის ოდენობით.

ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ ერთ პირზე რეგისტრირებულია ორი ან მეტი ბუნებრივი აირის აბონენტის ნომერი, რამაც ზოგიერთ შემთხვევაში ერთ მაცხოვრებელზე ბიუჯეტის კანონით დადგენილ ლიმიტზე მეტი ოდენობის ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება გამოიწვია. აღნიშნულიდან

<sup>3</sup> სააგენტოდან მიღებული განმარტებით 2024 წელს ბენეფიციარების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის საფუძველზე გახარჯული თანხების მიზნობრიობა დადასტურებულია ხელშეკრულებების 98%-სთვის.

<sup>4</sup> მუხლი 31.

<sup>5</sup> სეთურნი, ზაქათკარი, ჯადმანი, ბედონი, ბენიან-ბეგონი, იუზო, მუდურუ, წვერე, ციხიანი, სვიანა-როსტიანი და ქოროლო, აგრეთვე ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების ის სოფლები, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ.

გამომდინარე, ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში სათანადო კონტროლის მექანიზმების არარსებობის პირობებში ერთ პირზე, ერთზე მეტი ბუნებრივი აირის აბონენტის ნომრის არსებობა ზრდის საბიუჯეტო თანხების არაეფექტიანი და არაეკონომიური განკარგვის რისკებს.

მიზეზი

არასათანადო კონტროლის მექანიზმები.

გავლენა

საბიუჯეტო თანხების არაეფექტიანი და არაეკონომიური განკარგვა.

რეკომენდაცია

საბიუჯეტო თანხების ეფექტიანი და ეკონომიური განკარგვის მიზნით, მნიშვნელოვანია ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში შეიმუშაონ და დანერგონ ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ასანაზღაურებელი ბუნებრივი აირის ლიმიტების დაცვას მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ თითოეულ პირზე (აბონენტზე).

კომპონენტები, რომლებზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტები.

## 2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

### 2.1 მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები

#### აუდიტის მიგნება

სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები: სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, სსიპ - ნავთობისა და გაზის სააგენტო, სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო და სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით,<sup>6</sup> უფლებამოსილნი არიან სამართალდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დააჯარიმონ ფიზიკური/იურიდიული პირები.

აღნიშნული ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების და დარიცხული მოთხოვნების ასახვა ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლიდან დაიწყეს.<sup>7</sup> შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული მონაცემები არ მოიცავს წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციას 2022 წელს დარიცხული ადმინისტრაციული ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების და ასევე ინფორმაციას 2023 წლამდე დარიცხული და გადაუხდელი ჯარიმებიდან წარმოშობილი მოთხოვნების შესახებ. შესაბამისი უწყებებიდან მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე 2023 წლამდე დარიცხული და გადაუხდელი ჯარიმების შესახებ, რომლის მოწოდებაც ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ და სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტომ ვერ შეძლეს. აღნიშნული უწყებებიდან მიღებული განმარტებით, ამ ინფორმაციის შეგროვება და აღრიცხვა წინა წლებში არ ხდებოდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წელს დარიცხული ჯარიმებით წარმოშობილი მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემცირებულია - 238,682 ლარის ოდენობით.

ასევე შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ა(ა)იპ - ოუფენ ნეტი დარიცხული ჯარიმების აღრიცხვას ახდენს საკასო მეთოდით, რაც არ შეესაბამება აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს.<sup>8</sup> აღრიცხვის არასათანადოდ წარმოების გამო, ოუფენ ნეტის 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დარიცხული ჯარიმებით წარმოშობილი მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემცირებულია - 389,254 ლარის, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 600,943 ლარის ოდენობით.

#### კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო; სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო; ა(ა)იპ - ოუფენ ნეტი.

<sup>6</sup> მუხლი 28<sup>1</sup>; მუხლი 96<sup>2</sup>; მუხლი 139<sup>3</sup>; მუხლი 212<sup>1</sup>; მუხლი 213.

<sup>7</sup> გარდა სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, ვინაიდან 2022-2023 წლებში სააგენტოს მხრიდან დაჯარიმების ფაქტი არ დამდგარა.

<sup>8</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული 108-ე ინსტრუქციის მუხლი 7, პუნქტი 1.

## 2.2 მატერიალური მარაგები

### აუდიტის მიგნება

სსიპ – ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს და სსიპ – სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებებში 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით „მატერიალური მარაგების“ მუხლში ირიცხებოდა, შესაბამისად, 522,200 ლარის, 134,874 ლარის და 35,045 ლარის ღირებულების ისეთი მცირეფასიანი აქტივები,<sup>9</sup> რომლებსაც იყენებდა ორგანიზაცია და სსბასს-ის მოთხოვნების<sup>10</sup> მიხედვით, აღარ აკმაყოფილებდა მარაგად აღიარების კრიტერიუმებს.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ბალანსზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „მატერიალური მარაგების“ მუხლში ასევე ირიცხება 54,122 ლარის ღირებულების ისეთი მცირეფასიანი აქტივები, რომლებსაც იყენებს ორგანიზაცია და აღარ აკმაყოფილებს მარაგად აღიარების კრიტერიუმებს. **ზემოაღნიშნული მარაგები ექვემდებარებოდა ხარჯად აღიარებას ექსპლუატაციაში გადაცემის დროს.<sup>11</sup>**

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს და ტურიზმის ადმინისტრაციას ბალანსზე აღრიცხული აქვთ, შესაბამისად, 82,551 ლარის და 40,904 ლარის ღირებულების მარაგები, რომელთა გამოყენებაც მომავალში შეუძლებელია და არ აკმაყოფილებს მარაგად აღიარების კრიტერიუმებს. შესაბამისად, ეკონომიკის სამინისტროს მიერ მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „მატერიალური მარაგების“ მუხლი 2023 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდილია 692,119 ლარის, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 177,577 ლარის ოდენობით.

### კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო; სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; სსიპ – სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტო; სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

## 2.3 სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივები

### აუდიტის მიგნება

სსიპ – ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივების“ მუხლში ასახულია 2018-2022 წლებში ბენეფიციარებზე გაცემული საგრანტო თანადაფინანსების თანხები – 873,721 ლარის ოდენობით. ბენეფიციარებთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ვალდებულებების შესრულების ვადად განსაზღვრული იყო ერთი წელი, თუმცა აღნიშნული ვალდებულებები ანგარიშგების თარიღისთვის არ არის შესრულებული. სააგენტოს მხრიდან ბენეფიციარებზე გაცემული 415,178 ლარის დასაბრუნებლად – დაწყებულია სასამართლო დავა, 143,415 ლარის დასაბრუნებლად – მზადდება საქმე სასამართლოში გადასაგზავნად, ხოლო დარჩენილი 315,128 ლარის მოთხოვნები, სააგენტოს მიერ მიჩნეულია

<sup>9</sup> ძირითადად, საოფისე ავეჯი.

<sup>10</sup> სსბასს 12, მე-9, მე-11, მე-12, 44-ე პუნქტები.

<sup>11</sup> სსბასს 12, პუნქტი 44.

პრობლემურად. შესაბამისად, ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული 873,721 ლარის მოთხოვნების მიღების ალბათობა დაბალია. მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა, სააგენტოს მიერ აღნიშნული მოთხოვნების გაუფასურების საკითხი არ არის შეფასებული.

სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივების“ მუხლში აღრიცხული აქვს წინასწარ გადახდილი თანხები 4,092,270 ლარის ოდენობით.<sup>12</sup> შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ტურიზმის ადმინისტრაციას ზემოაღნიშნული თანხიდან 397,153 ლარის ღირებულების მომსახურება მიღებული აქვს 2023 წელს, რაც აღიარებული უნდა იყოს „საქონლისა და მომსახურების“ ხარჯებში.

კომპონენტი, სადაც  
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო; სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

## 2.4 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში ასახული აქვს შპს „ქართული ტრადიციების“ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიცია – 150,000 ლარის ოდენობით. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შპს „ქართული ტრადიციების“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილი შესულია<sup>13</sup> სახელმწიფოს მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოს შპს „როკი 98“-ის<sup>14</sup> კაპიტალში, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს ქონების სააგენტოს მართვის ქვეშ მყოფ საწარმოს, თუმცა ამ კომპანიაში განხორციელებული ქონებრივი და წილობრივი შენატანები ქონების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში არ აქვს ასახული. შპს „ქართული ტრადიციების“ კაპიტალი გადაცემის დროს შეფასებულია 35,300 ლარად.<sup>15</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში ასახული 114,700 ლარი არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსური ანგარიშგების მუხლში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივები“ აღრიცხულია შპს „საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდში“ არსებული წილი – 42,960,277 ლარის ოდენობით. სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით, აღნიშნული ორგანიზაცია არ ფუნქციონირებს და ამჟამად სააგენტოს მხრიდან მიმდინარეობს ღონისძიებები, რათა განხორციელდეს საქართველოს სასამართლოსთვის მიმართვა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების მოთხოვნით. აღნიშნული გარემოებები მიანიშნებს აღრიცხული აქტივების გაუფასურებაზე. შესაბამისად, სააგენტოს „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში აღრიცხული 42,960,277 ლარი შესაძლოა სრულად აღარ აკმაყოფილებდეს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

<sup>12</sup> 3,967,609 ლარის წინასწარი გადახდები „საქონლისა და მომსახურებისათვის“; 59,769 ლარის წინასწარი გადახდები „გრძელვადიანი არაფინანსური აქტივებისთვის“.

<sup>13</sup> სსიპ – საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 28 მაისის N1-3/424 ბრძანების საფუძველზე.

<sup>14</sup> ამჟამად, შპს „რეაბილიტაცია“, რომლის საქმიანობის სფეროა – სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებში ღირეკტორად დანიშვნა და ამავე საწარმოებში გაკოტრებისთვის/ლიკვიდაციისთვის/რეორგანიზაციისათვის საჭირო პროცედურების საკუთარი სახსრებით განხორციელება.

<sup>15</sup> აუდიტორული კომპანია „ველსი ვეი კონსალტინგის“ 2012 წლის 28 მაისის N 05/12-0007 აუდიტორული დასკვნის თანახმად.

**ქონების ეროვნული სააგენტო** „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>16</sup> შესაბამისად, ასრულებს სახელმწიფო კომპანიების პარტნიორის (აქციონერის) უფლებამოსილებებს. სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქონების ეროვნული სააგენტო წილს ფლობდა 58 საწარმოში,<sup>17</sup> საიდანაც ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მხოლოდ 6 სახელმწიფო კომპანიის წილი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით,<sup>18</sup> 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით **ეკონომიკის სამინისტრო** სახელმწიფოს სახელით წილს ფლობს დამატებით რვა საწარმოში.<sup>19</sup> აღნიშნული საწარმოები არ იძებნება არც ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებულ სახელმწიფო საწარმოთა სიაში და არც სამინისტროს აპარატის და ქონების ეროვნული სააგენტოს ბალანსზე. ქონების ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო საწარმოების მართვის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციით დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული რვა საწარმო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოს და ასახული უნდა იყოს როგორც ქონების ეროვნული სააგენტოს მართვაში მყოფ საწარმოთა სიაში, ასევე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც ანგარიშგების თარიღისთვის არ არის განხორციელებული.<sup>20</sup>

**სამინისტროს აპარატს** ფინანსური ანგარიშგების მუხლში – „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ აღრიცხული აქვს სამ კომპანიაში 2010-2014 წლებში განხორციელებული ინვესტიციები – 3,218,935 ლარის ოდენობით. აუდიტის შედეგად დადგინდა,<sup>21</sup> რომ სამინისტროს აპარატს მართვის უფლებით გადაცემული აქვს დამატებით ხუთი კომპანიის წილი, მათ შორის, სამი კომპანიის 100%-იანი, ხოლო ორი კომპანიის – 50%-იანი წილი, რაც სამინისტროს აპარატს მუხლში – „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ საერთოდ არ აქვს აღრიცხული.

**კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა**

სსიპ – ქონების ეროვნული სააგენტო; სამინისტროს აპარატი.

## 2.5 ძირითადი აქტივები / საინვესტიციო ქონება

**აუდიტის მიგნება**

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ მუხლებთან დაკავშირებით – „ძირითადი აქტივები“ და „საინვესტიციო ქონება“ გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

- **სსიპ – ქონების ეროვნული სააგენტოს** 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი აქტივების გაუფასურების ხარვეზში აღიარებული აქვს ხარჯი – 166,980 ლარის ოდენობით. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ქონება რეალურად არ გაუფასურებულა და მათ შეეცვალათ მხოლოდ კლასიფიკაცია. ქონების ეროვნული სააგენტოს გამოყენებაში არსებული ქონება კლასიფიცირდა,

<sup>16</sup> 43-ე მუხლი: სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს პარტნიორის (აქციონერის) უფლებამოსილებებს ახორციელებს ქონების მმართველი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს კაპიტალში სახელმწიფო ქონების, მათ შორის, წილებისა და აქციების, ასევე ფულადი შენატანის (შენატანების) განხორციელების შესახებ.

<sup>17</sup> მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 58 კომპანიიდან 13 არ ფუნქციონირებს.

<sup>18</sup> წერილი N170114, 02.08.2024.

<sup>19</sup> მათ შორის, 2 საწარმოს 100%-იან წილს, ხოლო 6 საწარმოს – 100%-ზე ნაკლებ წილს.

<sup>20</sup> ქონების სააგენტომ აუდიტის მიმდინარეობისას დააკორექტირა სახელმწიფო საწარმოების სია და ეს კომპანიები დაამატა სიას.

<sup>21</sup> სსიპ – ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული, მართვის უფლებით გადაცემული საწარმოების ნუსხის მიხედვით.

როგორც სახელმწიფო ქონება. შესაბამისად, ძირითადი აქტივების ღირებულება არ უნდა შემცირებულიყო, ხოლო გაუფასურების ხარჯები არ უნდა აღიარებულიყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაუფასურების ხარჯები გაზრდილია, ხოლო ძირითადი აქტივების ღირებულება შემცირებულია – 166,980 ლარის ოდენობით.

- სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს 2023 წელს სარგებლობის უფლებით გადაეცა 16,624 კვ.მ მიწის ნაკვეთი. აღნიშნული აქტივი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული.
- ეკონომიკის სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე არ არის ასახული მიწის ნაკვეთები, საერთო ფართობით – 36,630 კვ.მ<sup>22</sup> და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, რაც საჯარო რეესტრის მონაცემებით, ეკონომიკის სამინისტროს სარგებლობაშია და სსბასს-ების მოთხოვნების შესაბამისად, ექვემდებარება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას.
- სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების „ძირითადი აქტივების“ მუხლში აღრიცხული აქვს შენობა და მიწის ნაკვეთი<sup>23</sup> – 138,470 ლარის ოდენობით, რომლის იდენტიფიცირებაც სააგენტოს განმარტებით, ვერ ხერხდება. აღნიშნულ აქტივებს სააგენტოსთვის ეკონომიკური სარგებელი არ მოაქვს და შესაბამისად, არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.
- სსიპ – ქონების ეროვნულ სააგენტოში, ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოში, ნავთობისა და გაზის სააგენტოსა და ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში 2023 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია, შესაბამისად, 62,103 ლარის, 28,194 ლარის, 28,737 ლარის და 15,323 ლარის საბალანსო ღირებულების ისეთი ძირითადი აქტივები, რომლებიც დაზიანებულია ან/და აღარ გამოიყენება ან გამოსაყენებლად უვარგისია. ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგები ზემოაღნიშნული უწყებების მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გათვალისწინებული და გამოვლენილი დაზიანებული და გამოუყენებელი აქტივები ბალანსიდან არ არის ჩამოწერილი. შესაბამისად, სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „ძირითადი აქტივების“ მუხლში აღრიცხული 134,357 ლარის ღირებულების აქტივები აღარ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.<sup>24</sup>

#### სრულად გაცვეთილი და განუღებელი ძირითადი აქტივები

სსბასს 17-ის – „ძირითადი აქტივების“ შესაბამისად,<sup>25</sup> „აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის

<sup>22</sup> საკადასტრო კოდები: 55.13.73.001.038; 84.10.37.067.022; 55.12.53.012.004; 84.10.31.033.011; 84.10.37.065.069; 84.10.32.039.006; 43.17.41.002; 55.12.53.034.008; 84.10.38.050.075; 64.10.04.268A; 50.05.31.441; 50.05.31.298.

<sup>23</sup> ქალაქი ფოთი, ზერაგიას ქუჩა N53.

<sup>24</sup> მიღებული განმარტებით, ორგანიზაციებმა 2023 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგები გაითვალისწინეს 2024 წელს.

<sup>25</sup> პუნქტი 67.

ბოლოს მაინც უნდა გადაისინჯოს“ და თუ მოსალოდნელი შედეგები წინა შეფასებებისაგან განსხვავდება, ცვლილებები უნდა აისახოს როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.<sup>26</sup>

**სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციაში** სსბასს სტანდარტების ზემოაღნიშნული მოთხოვნა გათვალისწინებული არ არის, რის გამოც 2023 წელს სრულად არის გაცვეთილი და განულებული 40,324 ლარის ისტორიული ღირებულების ძირითადი აქტივები.

#### კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო; სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო; სამინისტროს აპარატი; სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტო; სსიპ – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო; სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

## 2.6 არამატერიალური აქტივები

### აუდიტის მიგნება

სბასს 31-ის მიხედვით,<sup>27</sup> უნდა შეფასდეს არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. კერძოდ, უნდა დადგინდეს, სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია, თუ განუსაზღვრელი.

ასევე, სსბასს 31-ის მიხედვით,<sup>28</sup> თითოეული ჯგუფის არამატერიალური აქტივისათვის განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს ინფორმაცია: სასარგებლო მომსახურების ვადა განუსაზღვრელია, თუ განსაზღვრული და თუ განსაზღვრულია, აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები ან გამოყენებული ამორტიზაციის ნორმები.

**სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის** ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 1,507,113 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე არამატერიალური აქტივები.

ტურიზმის ადმინისტრაციაში არამატერიალური აქტივების აღრიცხვისთვის არ გამოიყენება სსბასს 31-ის ზემოაღნიშნული მითითებები. არ არის დასაბუთებული არამატერიალურ აქტივებზე მინიჭებული სასიცოცხლო მომსახურების ვადების განსაზღვრის საკითხი და ყველა არამატერიალურ აქტივზე სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 10 წელი.<sup>29</sup>

გარდა ამისა, ტურიზმის ადმინისტრაციაში 2023 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია 8,462 ლარის საბალანსო ღირებულების მორალურად გაცვეთილი და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი არამატერიალური აქტივები. ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგები ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, ტურიზმის ადმინისტრაციის ფინანსური ანგარიშგების „არამატერიალური აქტივების“

<sup>26</sup> სსბასს 3, 41-ე და 42-ე პუნქტები.

<sup>27</sup> სსბასს 31 - „არამატერიალური აქტივები“, პუნქტი 87.

<sup>28</sup> სსბასს 31 - პუნქტი 117.

<sup>29</sup> მაგალითად, ტურიზმის ადმინისტრაციის ბალანსზე ირიცხება სხვადასხვა დასახელების ვიდეორგოლები და ვიდეოკლიპები, საბალანსო ღირებულებით - 639,618 ლარი (ისტორიული ღირებულება - 1,427,379 ლარი); ფილმებსა და ვიდეორგოლებს არ აქვს განსაზღვრული ვადა და მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ დროს.

მუხლში აღრიცხული 8,462 ლარის ღირებულების აქტივები აღარ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებებში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება, შესაბამისად, 4,378,647 ლარის და 860,828 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე არამატერიალური აქტივები. საზღვაო აკადემიის ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივებიდან, 3,834,117 ლარის საბალანსო ღირებულების არამატერიალურ აქტივებზე, ხოლო სამინისტროს აპარატს – 415,953 ლარის საბალანსო ღირებულების არამატერიალურ აქტივებზე, მინიჭებული აქვს განუსაზღვრელი მომსახურების ვადები. სსიპს 31-ის მოთხოვნების მიხედვით,<sup>30</sup> განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხებათ, მაგრამ სავალდებულოა ყოველწლიურად გაუფასურების ტესტირების ჩატარება. 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს საზღვაო აკადემიისა და სამინისტროს აპარატის მიერ სსიპს 31-ის ზემოაღნიშნული მოთხოვნა არ არის გათვალისწინებული.

გარდა ამისა, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 40,000 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე ვებგვერდი, რომელიც არ მუშაობს და მიღებული განმარტებით, გამართული ფუნქციონირებისათვის საჭიროებს დამატებით სახსრებს. შესაბამისად, აღნიშნული ვებგვერდი არ აკმაყოფილებს ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალურ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

კომპონენტები, სადაც  
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია; სამინისტროს აპარატი.

## 2.7 მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები

აუდიტის მიგნება

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ მუხლთან დაკავშირებით – „მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, გარდა პროცენტისა“, გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

- სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში ფინანსური ანგარიშგების მუხლში – „მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, გარდა პროცენტისა“, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხული 3,293,086 ლარიდან – 3,003,834 ლარი, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული 6,496,578 ლარიდან – 6,482,623 ლარი, საფინანსო ინსტიტუტების მიმართ სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო პროგრამების<sup>31</sup> ფარგლებში საფინანსო ინსტიტუტების მიმართ წარმოქმნილ დავალიანებებს წარმოადგენს.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, კრედიტორული დავალიანებების დადასტურებისათვის აუდიტის ჯგუფმა წერილობით მიმართა საფინანსო ინსტიტუტებს. მიღებული პასუხების მიხედვით, კრედიტორები 2023 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებენ აღრიცხულთან შედარებით, შესაბამისად, 3,532,777 ლარით

<sup>30</sup> სსიპს 31 - 106-ე და 107-ე პუნქტები.

<sup>31</sup> ბანკის პროცენტის თანადაფინანსება, სამშენებლო სექტორის ხელშეწყობა და სხვ.

და 2,368,453 ლარით მეტ მოთხოვნას სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში მიმართ.<sup>32</sup>

- **სსიპ – საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის** ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ მუხლში ასახულია მოგების გადასახადით წარმოქმნილი დავალიანება – 403,390 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ ჰიდროგრაფიული სამსახური 2019 წლიდან აღარ არის მოგების გადასახადის გადამხდელი. შესაბამისად, მუხლში – „მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები“ ასახული მოგების გადასახადით წარმოქმნილი დავალიანება – 403,390 ლარის ოდენობით, აღარ აკმაყოფილებს ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს.
- **სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს** ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ მუხლში ასახულია 1996-2006 წლებში წარმოშობილი დავალიანებები – 190,000 ლარის ოდენობით, რომელთა მაიდენტიფიცირებელი პირველადი დოკუმენტაცია, სააგენტოში არ იძებნება.<sup>33</sup>

**კომპონენტები, სადაც  
გამოვლინდა დარღვევა**

სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში; სსიპ – საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური; სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.

## 2.8 შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით

**აუდიტის მიგნება**

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ მუხლთან დაკავშირებით – „შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით“ გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

- **სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს** ფინანსური ანგარიშგების მუხლში – „შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით“ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 7,725,579 ლარი. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული 7,725,579 ლარიდან – 7,522,079 ლარი ნაცვლად დარიცხული ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლისა, წარმოადგენს სააგენტოს მიერ გაცემული ლიცენზიების საფასურიდან მიღებულ შემოსავალს.

სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები<sup>34</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, უფლებამოსილნი არიან სამართალდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დააჯარიმონ ფიზიკური/იურიდიული პირები. აღნიშნული ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების და დარიცხული მოთხოვნების ასახვა სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლამდე არ

<sup>32</sup> სააგენტოს განმარტებით, 2024 წელს მოხდა საფინანსო ინსტიტუტებთან შედარება და არსებული სხვაობების გასწორება.

<sup>33</sup> აღნიშნული საკითხი ასახულია ეკონომიკის სამინისტროს 2021 და 2020 წლების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშგებში.

<sup>34</sup> ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, ნავთობისა და გაზის სააგენტო, ავიაციის სააგენტო, სახმელეთო სააგენტო, საზღვაო სააგენტო და მინერალური რესურსების სააგენტო.

ხდებოდა, მიუხედავად 2022 წელს აღრიცხვის ინსტრუქციაში შესული ცვლილებებისა,<sup>35</sup> რომლის მიხედვითაც, საბიუჯეტო ორგანიზაციებს დაევალით აღრიცხვა-ანგარიშგებაში საკუთარი სახელით ფლობილ აქტივებთან და აღებულ ვალდებულებებთან, მიღებულ შემოსავლებსა და გაწეულ ხარჯებთან ერთად, ასევე ასახონ სახელმწიფოს სახელით ფლობილი აქტივები, აღებული ვალდებულებები, მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები, ე.წ. ადმინისტრირებადი კატეგორიები.<sup>36</sup>

სამინისტროს სტრუქტურაში შემავალმა შესაბამისმა უწყებებმა 2023 წლიდან დაიწყეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესაბამისად დარიცხული ჯარიმების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვა, თუმცა აღრიცხვიანობასთან დაკავშირებით ზოგიერთ უწყებაში გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები, კერძოდ:

- **მინერალური რესურსების სააგენტოს** ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები შემცირებულია 263,500 ლარის ოდენობით.
- **ნავთობისა და გაზის სააგენტოს** 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ინფორმაციას 2023 წელს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დარიცხული ჯარიმებით მიღებულ შემოსავლებსა და მოთხოვნებზე. კერძოდ, სააგენტოს აღრიცხული არ აქვს 2023 წელს დარიცხული ჯარიმებით მიღებული შემოსავლები – 10,500 ლარის, ხოლო დარიცხული ჯარიმებით მოთხოვნები 2023 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, 4,000 და 6,000 ლარის ოდენობით.
- **ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს** და **ავიაციის სააგენტოს** 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები არ მოიცავდა ინფორმაციას 2022 წელს ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის დარიცხული ჯარიმებიდან მიღებულ შემოსავლებზე, შესაბამისად, 485,150 ლარის და 14,000 ლარის ოდენობით. აღნიშნულმა სააგენტოებმა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახეს 2023 წელს დარიცხული ჯარიმებით მიღებული შემოსავლები, თუმცა არ წარადგინეს წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარისი ინფორმაცია 2022 წელს დარიცხული ჯარიმებით მიღებულ შემოსავლებზე, რაც არ შეესაბამება სსბასს-ის მოთხოვნებს.<sup>37</sup>

**ა(ა)იპ – ოუფენ ნეტს და სამინისტროს აპარატს** 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დარიცხული ჯარიმებით მიღებული შემოსავლები, შესაბამისად, 176,054 ლარის და 15,879 ლარის ოდენობით, ნაცვლად მუხლისა „შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით“, არასწორად აღრიცხული ჰქონდათ მუხლში „ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები“. აღნიშნულმა უწყებებმა 2023 წლიდან დაიწყეს ჯარიმების სწორ მუხლში აღრიცხვა, თუმცა არ დააკორექტირეს წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარისი

<sup>35</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 23 აგვისტოს N282 ბრძანება.

<sup>36</sup> აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 9, პუნქტი 2.

<sup>37</sup> სსბასს 1, პუნქტი 53. სსბასს 3, 46-ე და 47-ე პუნქტები.

ინფორმაცია სსბასს-ის მოთხოვნების<sup>38</sup> შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით მიღებული შემოსავლების წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა შემცირებულია, ხოლო ტრანსფერებით მიღებული შემოსავლების წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა გაზრდილია 191,933 ლარის ოდენობით.

კომპონენტები, სადაც  
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო; სსიპ – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო; სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო; სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; ა(ა)იპ – ოუფენ ნეტი; სამინისტროს აპარატი.

## 2.9 ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები

აუდიტის მიგნება

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს 2023 წელს საკუთარი საჭიროებისთვის სარგებლობაში გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1,513,260 ლარის ღირებულების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 3,291,437 ლარის ღირებულების არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები. აღნიშნული სახელმწიფო ქონება სააგენტომ 2023 წელს აიყვანა ბალანსზე და აღიარა შემოსავლები მუხლში – „ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები“ 4,804,697 ლარის ოდენობით.

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოადგენს სახელმწიფო ქონების მმართველს, განკარგავს სახელმწიფო ქონებას და იღებს სარგებელს და მომსახურების პოტენციალს აღნიშნული ოპერაციებიდან. შესაბამისად, აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად, სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ისედაც უნდა ჰქონდეს აღრიცხული მის განკარგვაში არსებული ყველა სახელმწიფო ქონება. შესაბამისად, მიმდინარე პერიოდში აღნიშნული ქონება სააგენტოს ბალანსზე აყვანილი უნდა იყოს კაპიტალის კორექტირების გზით, როგორც შეცდომის გასწორება. შედეგად, სააგენტოს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური ანგარიშგების მუხლი – „ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები“ გაზრდილია 4,804,697 ლარის ოდენობით.

სსიპ – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს 2023 წელს მუხლში – „ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლები“ აღიარებული აქვს შემოსავლები – 489,013 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს სხვადასხვა კომპანიაზე ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად გაცემული ლიცენზიების<sup>39</sup> საფუძველზე გადასახდელი რეგულირების საფასურიდან მიღებულ შემოსავლებს.

„საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ დამტკიცებული ინსტრუქციის“ მოთხოვნების<sup>40</sup>

<sup>38</sup> სსბასს 3, 46-ე და 47-ე პუნქტები.

<sup>39</sup> „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონის და სააგენტოს დებულების თანახმად, სსიპ – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო ახორციელებს ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან/და ტრანსპორტირების საქმიანობის რეგულირებას, რისთვისაც სააგენტო სახელმწიფოს სახელით ინვესტირებისათვის ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად გაცემს ლიცენზიებს და იღებს რეგულირების საფასურს, რომლის ოდენობა დადგენილია კანონით.

<sup>40</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანება, მუხლი 45, მე-14; მე-20 - 22<sup>2</sup> პუნქტები.

მიხედვით, რეგულირების საფასურიდან მიღებული შემოსავლები თავისი შინაარსით წარმოადგენს შემოსავლებს გაცვლითი ოპერაციებიდან და არა შემოსავლებს, არაგაცვლითი ოპერაციებიდან. შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნავთობის და გაზის სააგენტოს მიერ მუხლში – „ტრანსფერებისა და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები“ აღრიცხული რეგულირების საფასურიდან მიღებული შემოსავლები – 489,013 ლარის ოდენობით, ექვემდებარება რეკლასიფიცირებას მუხლში – „შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან, გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა“.

კომპონენტი, სადაც  
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო; სსიპ – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო.

## 2.10 შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან, გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა

აუდიტის მიგნება

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ფინანსურ ანგარიშგებაში ასახავს, მხოლოდ საქართველოს მთავრობის N393 დადგენილებით<sup>41</sup> განსაზღვრულ სააგენტოზე მისაკუთვებელ შემოსავლებს და ამ შემოსავლებთან დაკავშირებულ დარიცხულ მოთხოვნებს. აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნების<sup>42</sup> მიხედვით, ერთეულმა აღრიცხვა-ანგარიშგებაში საკუთარი სახელით ფლობილ აქტივებთან, აღებულ ვალდებულებებთან, მიღებულ შემოსავლებთან და გაწეულ ხარჯებთან ერთად უნდა აღრიცხოს ასევე სახელმწიფოს სახელით ფლობილი აქტივები და აღებული ვალდებულებები, მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები, ე.წ. ადმინისტრირებადი კატეგორიები. ადმინისტრირებადი მუხლების შესახებ ინფორმაცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის<sup>43</sup> მოთხოვნების მიხედვით, ასევე წარდგენილი უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნა N22-ში. ქონების სააგენტომ 2023 წელს მიღებული ადმინისტრირებადი შემოსავლების შესახებ ინფორმაცია წარადგინა მხოლოდ შენიშვნა N22-ში საკასო მეთოდით.<sup>44</sup> ადმინისტრირებადი შემოსავლების ის ნაწილი და შესაბამისი მოთხოვნები, რომლებიც 2023 წელს წარმოიშვა და ჯერ არ არის დაფარული სააგენტოს მიერ ფინანსური მდგომარეობის და ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში და ასევე შენიშვნა N22-ში – არ არის წარდგენილი.

სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას სტუდენტებთან დაკავშირებული ინფორმაცია<sup>45</sup> ასახული აქვს სტუდენტთა ელექტრონულ შიდა

<sup>41</sup> საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N393 დადგენილება „სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“.

<sup>42</sup> მუხლი 9, პუნქტი 1<sup>1</sup>.

<sup>43</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქცია.

<sup>44</sup> 2023 წელს მიღებული შემოსავლების ის ნაწილი, რომელიც სახელმწიფო ხაზინაში ჩაირიცხა.

<sup>45</sup> რეესტრში ასახულია შემდეგი ინფორმაცია: სტუდენტის პირადი მონაცემები, დარეგისტრირებული კრედიტების რაოდენობა, დარიცხული გადასახდელი და გადახდილი სწავლის ღირებულების ოდენობა, სტუდენტების ვალის ოდენობა, ზედმეტად ჩარიცხული თანხები და სხვ.

რეესტრში. წინა საანგარიშგებო პერიოდის აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ზემოაღნიშნულ სტუდენტთა რეესტრსა და აკადემიის ბუღალტრულ მონაცემებში ინდივიდუალურად, სტუდენტების მიხედვით ასახული მონაცემები ძირითადად არ შეესაბამებოდა ერთმანეთს. საზღვაო აკადემიამ 2024 წლიდან დაიწყო სტუდენტთა ელექტრონულ რეესტრის და ბუღალტრული მონაცემების შესაბამისობაში მოყვანა, დაკორექტირდა პროგრამასა და ბუღალტრულ მონაცემებს შორის არსებული სხვაობების ძირითადი ნაწილი, თუმცა წინა საანგარიშგებო პერიოდის დასაკორექტირებელი მონაცემები მიკუთვნებულია 2024 წელს და კორექტირებები არ განხორციელებულა სსპს 3-ის მოთხოვნების<sup>46</sup> შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საზღვაო აკადემიის მიერ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლი - „შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან, გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა“ შემცირებულია, ხოლო მუხლი - „მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები“ გაზრდილია - 224,073 ლარის ოდენობით.

**სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს** 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული აქვს გაცემული ლიცენზიებიდან მიღებული შემოსავალი და შესაბამისად, ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები და შიდა ტრანსფერებით ხარჯები - 7,522,079 ლარის ოდენობით.

სააგენტო ლიცენზიების გაცემიდან მიღებულ შემოსავლებს აღრიცხავს საკასო მეთოდით, რაც არ შეესაბამება აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს. კერძოდ, შერჩევის საფუძველზე დოკუმენტური შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ 2023 წელს აღრიცხული ლიცენზიებიდან მიღებულ შემოსავლებსა და შიდა ტრანსფერებით ხარჯებში აღიარებულია 2022 წელს მისაკუთვნებელი შემოსავლები და შიდა ტრანსფერებით ხარჯები - 392,560 ლარის ოდენობით; ასევე 2024 წელს აღიარებულია 2023 წელს მისაკუთვნებელი ლიცენზიებიდან მიღებულ შემოსავლები და შიდა ტრანსფერებით ხარჯები - 511,786 ლარის ოდენობით.

**კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა**

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო; სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია; სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო.

## 2.11 საპროცენტო შემოსავლები

**აუდიტის მიგნება**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით **სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს** ფინანსური ანგარიშგების მუხლში - „საპროცენტო შემოსავლები“ აღიარებულია 6,170,536 ლარი, საიდანაც გრძელვადიანი მოთხოვნების დისკონტირების შედეგად მიღებული საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 1,735,954 ლარს, ხოლო საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი - 4,434,582 ლარს. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ გრძელვადიანი მოთხოვნების დისკონტირების შედეგად დარიცხული საპროცენტო სარგებელი ნაცვლად 1,735,954 ლარისა, შეადგენს 598,443 ლარს, ხოლო საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად

<sup>46</sup> 46-ე და 47-ე პუნქტები.

სახსრებზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი, ნაცვლად 4,434,582 ლარისა, შეადგენს 4,673,391 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქონების ეროვნულ სააგენტოს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში საპროცენტო შემოსავლები გაზრდილია 898,702 ლარის ოდენობით.

წინა საანგარიშგებო პერიოდის აუდიტის შედეგების მიხედვით, სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების მუხლი – „საპროცენტო შემოსავლები“ შემცირებული იყო 287,517 ლარის ოდენობით. მიმდინარე აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სსიპ-ს – აწარმოე საქართველოში არ აქვს დაკორექტირებული წინა საანგარიშგებო პერიოდის შეცდომა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „საპროცენტო შემოსავლების“ მუხლის შესადარისი ინფორმაცია შემცირებული აქვს 287,517 ლარის ოდენობით.

კომპონენტები, სადაც  
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო; სსიპ – აწარმოე საქართველოში.

## 2.12 გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიები

აუდიტის მიგნება

სსიპ-ს – „აწარმოე საქართველოში“ განხორციელებული აქვს 2023 წლის სუბსიდიების ხარჯის უკუგატარების ოპერაციები 563,229 ლარის ოდენობით. დოკუმენტური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული თანხიდან 475,690 ლარი წარმოადგენს წინა პერიოდში გაცემული სუბსიდიების უკან მობრუნებას და არ არის მიმდინარე პერიოდში გაწეული ხარჯების კორექტირება. შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი სუბსიდიების ხარჯი შემცირებულია 475,690 ლარის ოდენობით.

ასევე, წინა საანგარიშგებო პერიოდის აუდიტის შედეგების მიხედვით, სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების „სუბსიდიების“ მუხლი გაზრდილი იყო 6,603,909 ლარის ოდენობით. მიმდინარე აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სსიპ-ს – აწარმოე საქართველოში არ აქვს დაკორექტირებული წინა საანგარიშგებო პერიოდის შეცდომა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სუბსიდიების მუხლის შესადარისი ინფორმაცია გაზრდილი აქვს – 6,603,909 ლარის ოდენობით.

სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვს სუბსიდიის ხარჯი – 9,030,478 ლარის ოდენობით. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ მუხლში აღრიცხულია 516,127 ლარის ოდენობის ისეთი დანახარჯები,<sup>47</sup> რომელთა აღნიშნულ მუხლში აღრიცხვა არ შეესაბამება ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანების მოთხოვნებს<sup>48</sup> და საჭიროებს მუხლში – „საქონელი და მომსახურება“ რეკლასიფიცირებას. აღრიცხული ხარჯიდან – 603,328 ლარის ხარჯი საერთოდ არ უნდა იყოს აღიარებული, როგორც

<sup>47</sup> საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები, ოფისის ხარჯები და სხვ.

<sup>48</sup> „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 52.

სუბსიდიის ხარჯი, ხოლო 310,626 ლარის ხარჯების შინაარსის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.

ა(ა)იპ – **ოუფენ ნეტი** ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 1,321,849 ლარის სუბსიდიის ხარჯი მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომელთა აღნიშნულ მუხლში აღრიცხვა არ შეესაბამება ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანების მოთხოვნებს და საჭიროებს მუხლში – „საქონელი და მომსახურება“ რეკლასიფიცირებას.

კომპონენტები, სადაც  
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – აწარმოე საქართველოში; სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო; ა(ა)იპ – **ოუფენ ნეტი**.

### 2.13 გაუფასურების ხარჯები

წინა საანგარიშგებო პერიოდის აუდიტის შედეგების მიხედვით, **სსიპ – ქონების ეროვნულ სააგენტოს** 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული 37,330,876 ლარის გაუფასურების ხარჯის ნაცვლად, აღრიცხული უნდა ჰქონოდა ძირითადი აქტივები – 35,358,546 ლარის და გრძელვადიანი ფინანსური აქტივები<sup>49</sup> – 1,972,329 ლარის ოდენობით, ხოლო **სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს** 200,970 ლარის ხარჯები ნაცვლად „ტრანსფერებისა და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების“ მუხლისა, აღიარებული უნდა ჰქონოდა „გაუფასურების ხარჯების“ მუხლში.

მიმდინარე აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ **ქონების სააგენტოს და მინერალური რესურსების სააგენტოს** არ აქვს დაკორექტირებული წინა საანგარიშგებო პერიოდის ზემოაღნიშნული შეცდომები, რის გამოც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლების – „გაუფასურების ხარჯები“ და „ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები“ წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარისი ინფორმაცია გაზრდილია, შესაბამისად, 37,129,906 ლარის და 200,970 ლარის, ხოლო მუხლების – „ძირითადი აქტივები“ და „გრძელვადიანი ფინანსური აქტივები“ შესადარისი ინფორმაცია შემცირებულია, შესაბამისად, 35,358,546 ლარის და 1,972,329 ლარის ოდენობით.

კომპონენტები, სადაც  
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – ქონების ეროვნული სააგენტო; სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო.

### 2.14 განმარტებითი შენიშვნები

აუდიტის მიგნება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

<sup>49</sup> ქონებრივი ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში.

განმარტებითი შენიშვნა<sup>50</sup> სახელმწიფოს სახელით ფლობილი აქტივების, აღებული ვალდებულებების, მიღებული შემოსავლების და გაწეული ხარჯების შესახებ, არ არის მომზადებული აღრიცხვის ინსტრუქციის,<sup>51</sup> საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ დამტკიცებული ინსტრუქციის<sup>52</sup> და საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ დამტკიცებული ინსტრუქციის<sup>53</sup> მოთხოვნების გათვალისწინებით. კერძოდ, ქონების სააგენტოს ადმინისტრირებადი მუხლების აღრიცხვისთვის გამოყენებული აქვს საკასო მეთოდი.

#### საინვესტიციო მოთხოვნები

**სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოადგენს სახელმწიფო ქონების მმართველს, განკარგავს სახელმწიფო ქონებას და იღებს სარგებელს და მომსახურების პოტენციალს აღნიშნული ოპერაციებიდან.

2023 წელს განხორციელებული საინვესტიციო ვალდებულებებით განკარგვების შესახებ ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით 2023 წელს საინვესტიციო ვალდებულებებით განკარგულია ჯამში – 2,627 ჰექტარი მიწის ფართობი, რომელთა ჯამური საინვესტიციო ღირებულება შეადგენს 164,656,162 ლარს. შემსყიდველი პირებისთვის თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრულია სხვადასხვა შინაარსის საპრივატიზებო ვალდებულებები.

**აღსანიშნავია, რომ სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახნა-განმარტებითი შენიშვნებში ასახული არ არის ინფორმაცია სააგენტოს მიერ საინვესტიციო ვალდებულებებით განკარგული ქონების რაოდენობის და პრივატიზებიდან წარმოშობილი საინვესტიციო მოთხოვნების ოდენობის შესახებ.**

#### სასამართლო დავები

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე,<sup>54</sup> ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახული უნდა იყოს ინფორმაცია მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ, ხოლო სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შესახებ საიმედო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია უნდა აღირიცხოს შესაბამის მუხლში სსბასს 19-ის მოთხოვნების შესაბამისად.<sup>55</sup>

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დანართებში გადატანილია მხოლოდ მიმდინარე სასამართლო დავების რეესტრი.<sup>56</sup> სამინისტროში არ არის ფორმალიზებული საფინანსო და იურიდიული სამსახურების კომუნიკაციის წესი და პირობები, არ არის შემუშავებული

<sup>50</sup> შენიშვნა N22.

<sup>51</sup> მუხლი 9, პუნქტი 1<sup>1</sup>.

<sup>52</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანება, მუხლი 3, პუნქტი 1<sup>1</sup>; მუხლი 17, პუნქტი 25<sup>1</sup>.

<sup>53</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანება. მუხლი 2, პუნქტი 2<sup>1</sup>; მუხლი 4<sup>1</sup>.

<sup>54</sup> სსბასს 1, პუნქტი 27.

<sup>55</sup> სსბასს 19, პუნქტი 22.

<sup>56</sup> რეესტრში ზოგ შემთხვევაში ასევე ასახულია დასრულებული დავების შესახებ ინფორმაცია.

ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა სასამართლო დავებთან, პირობითი აქტივების და პირობითი ვალდებულებების აღრიცხვასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებში ერთიანი მიდგომით არ ხდება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნების, ვალდებულებების, ანარიცხების, პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების ასახვა.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების საფუძველზე პირობითი აქტივების და ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მომზადებული და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილი აქვთ მხოლოდ სსიპ-ს – აწარმოე საქართველოში და სსიპ – მინერალური რესურსების სააგენტოს.

**სამინისტროს აპარატის** ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ არის ინფორმაცია სასამართლოს გადაწყვეტილებებით<sup>57</sup> სამინისტროსთვის დაკისრებული 34,400 აშშ დოლარის და 286,335 ლარის გადახდის ვალდებულებების შესახებ. აღნიშნულ სასამართლო დავაზე ინფორმაცია მოცემულია მხოლოდ სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დანართებში გადატანილი სასამართლო დავების რეესტრში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს არ მიეწოდება სრულყოფილი ინფორმაცია, სსპას 19-ის მოთხოვნების შესაბამისად.

**კომპონენტები, სადაც  
გამოვლინდა დარღვევა**

სამინისტროს აპარატი, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

## 2.15 ინვენტარიზაცია

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში 2023 წელს კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

სსიპ – ქონების ეროვნულ სააგენტოს, ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, ნავთობისა და გაზის სააგენტოს და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ 2023 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგები ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს არ არის გათვალისწინებული.

**კომპონენტები, სადაც  
გამოვლინდა დარღვევა**

სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია; სსიპ – ქონების ეროვნული სააგენტო, სსიპ – ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, სსიპ – ნავთობისა და გაზის სააგენტო, სსიპ – ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

<sup>57</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (25.04.2018); თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება (28.09.2022); საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება (15.12.2023) საქმეზე N 330210020004040136.

### 3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები

#### 3.1 ინფორმაციული უსაფრთხოება

##### აუდიტის მიზნება

„პირველი, მეორე და მესამე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების<sup>58</sup> მიხედვით, ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებები: სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო და სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო – პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციის სუბიექტებია.

„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>59</sup> მიხედვით, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტი ვალდებულია შემოიღოს ინფორმაციული უსაფრთხოების შინასამსახურებრივი გამოყენების წესები და განსაზღვროს ორგანიზაციის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა; ასევე განსაზღვროს კონკრეტული პირი(პირები) ან თანამშრომელი (თანამშრომლები), რომელიც (რომლებიც) პასუხისმგებელია (პასუხისმგებელი არიან) კრიტიკული ინფორმაციის სისტემის სუბიექტის ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებისათვის (ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი) და ჩაატაროს ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტი და ინფორმაციულ სისტემაში შეღწევადობის ტესტები.

**სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში 2023 წელს არ იყო განსაზღვრული** ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი და ორგანიზაციას არ ჰქონდა შემუშავებული ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, ასევე არ ჩატარებულა ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტი და ინფორმაციულ სისტემაში შეღწევადობის ტესტი.<sup>60</sup>

**სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს 2023 წელს არ ჰქონდა** შემუშავებული ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა და არ ჩატარებია ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტი და ინფორმაციულ სისტემაში შეღწევადობის ტესტი.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ სრულად არ არის შესრულებული „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, რაც ზრდის ინფორმაციული უსაფრთხოების რისკებს.**

##### კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო.

<sup>58</sup> 2021 წლის 30 დეკემბრის N646 დადგენილება.

<sup>59</sup> მუხლი 4, პუნქტი 1; მუხლი 7, პუნქტი 1.

<sup>60</sup> სააგენტოში ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი დანიშნულია 2024 წლის 1 თებერვლიდან.

### 3.2 შრომის ანაზღაურება

#### აუდიტის მიგნება

„სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების<sup>61</sup> მიხედვით, სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა არის დასაქმებულთა ნამუშევარი საათების აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი, რომელიც მოიცავს წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით აღრიცხულ მონაცემებს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი საათების შესახებ. ნამუშევარი საათების აღრიცხვა სავალდებულოა „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებული დამსაქმებლებისთვის. სსიპ – ქონების ეროვნულ სააგენტოში, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და საზღვაო აკადემიაში სამუშაო დროის აღრიცხვის წარმოება არ მიმდინარეობს ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად. აღნიშნულ უწყებებში ხელფასების დარიცხვის საფუძველია საშტატო განრიგი და შესაბამისი საკადრო ბრძანებები.

#### კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – ქონების ეროვნული სააგენტო; სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

<sup>61</sup> 2021 წლის 12 თებერვლის N01-15/6 ბრძანება. მუხლი 1, მე-2 და მე-3 პუნქტები.

#### 4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

|                                  |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
|----------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| რეკომენდაცია                     | <p>საკითხის მნიშვნელობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, ეკონომიკის სამინისტრომ იმსჯელოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი რომელი ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში განხორციელებული არაფულადი შენატანები, ასევე – საინვესტიციო, საპრივატიზებო და საიჯარო ქონება. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, შეიმუშაოს აღნიშნული აქტივების აღრიცხვასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა და სტანდარტების მოთხოვნების მიხედვით აისახოს აქტივები შესაბამისი ორგანიზაციის ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში; ასევე ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს აქტივების თანხობრივი შეფასება.</p> |
| რეკომენდაციის შესრულების სტატუსი | <p>სამინისტროს აპარატი – მიმდინარე; სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო – მიმდინარე.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
| რეკომენდაცია                     | <p>ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით შემუშავდეს სახელმწიფო კომპანიებში არსებული წილების აღრიცხვის პოლიტიკა. კერძოდ, სამინისტრომ განიხილოს სახელმწიფო კომპანიებში არსებული წილების ერთჯერადად სამართლიანი ღირებულებით შეფასების საკითხი ან საიმედო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფო კომპანიებში წილობრივი ინსტრუმენტების საბოლოო ნაშთი დააკორექტიროს წინა წლებში არსებული თანხობრივი, ქონებრივი და წილობრივი შენატანებით და გაითვალისწინოს კაპიტალ-მეთოდის მოთხოვნები.</p>                                                                                                                                                                                                                                                                 |
| რეკომენდაციის შესრულების სტატუსი | <p>სამინისტროს აპარატი – მიმდინარე; სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო – მიმდინარე.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
| რეკომენდაცია                     | <p>ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მისი სტრუქტურული ერთეულების ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების ინვენტარიზაციას, ურთიერთშედარების აქტების გაფორმებას, დებიტორების რეალობის, დაფარვის ალბათობის, ხანდაზმულობის მიზეზების შესწავლას და დავალიანებების ამოღების პროცესის დაჩქარებას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; ასევე მნიშვნელოვანია შემუშავდეს სააღრიცხვო პოლიტიკა ხანდაზმული დებიტორული დავალიანებების/ფინანსური აქტივების გაუფასურების საკითხის შეფასებასა და შესაბამისი ინფორმაციის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენასთან დაკავშირებით.</p>                                                                            |
| რეკომენდაციის შესრულების სტატუსი | <p>სამინისტროს აპარატი; სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო; სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო; სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                     |

სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო; სსიპ – საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური – მიმდინარე.

სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო – შესრულებული.

#### რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით ქონების ეროვნულმა სააგენტომ, სამინისტროს აპარატმა და საზღვაო აკადემიამ უზრუნველყონ მათ საკუთრებაში არსებული ყველა ქონების იდენტიფიცირება, დაირეგისტრიროს საკუთრების უფლება, გააკეთოს შესაბამისი შეფასებები და აღრიცხოს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

#### რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია – შესრულებული; სამინისტროს აპარატი – შესრულებული; სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო – ნაწილობრივ შესრულებული.

#### რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით მნიშვნელოვანია სამინისტროს აპარატმა იმსჯელოს „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ მუხლში აღრიცხული აქტივები, რამდენად აკმაყოფილებს სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმებს და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

#### რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

სამინისტროს აპარატი – შესრულებული.

#### რეკომენდაცია

საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად განკარგვისა და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით მიზანშეწონილია ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებმა დანერგონ სათანადო კონტროლის მექანიზმები, მაღალმთიანი მოსახლეობისათვის ბუნებრივი აირის ასანაზღაურებელი ღირებულების დადასტურებისას, შესაბამის აბონენტებზე „მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის“ სტატუსის სისწორის შემოწმებისათვის.

#### რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

დუშეთის მუნიციპალიტეტი – მიმდინარე; ყაზბეგის მუნიციპალიტეტი – მიმდინარე.

#### რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით სამინისტრომ ყოველი წლის ბოლოს შეაფასოს ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები და იმ შემთხვევაში, თუ სასარგებლო მომსახურების ვადები განსხვავებული იქნება არსებული შეფასებისგან, ცვლილებები ასახოს როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, სსპას 3-ის შესაბამისად.

#### რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია – შესრულებული; სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო – შესრულებული; სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო – შესრულებული; სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია – შესრულებული.

|                                         |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
|-----------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>რეკომენდაცია</b>                     | <p>ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით მნიშვნელოვანია ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ გაატაროს შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უზრუნველყოს არამატერიალური აქტივების როგორც განსაზღვრული და განუსაზღვრელი მომსახურების ვადების მქონე აქტივების კლასიფიკაცია და განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებზე ყოველწლიურად ჩაატაროს გაუფასურების ტესტირება;</li> <li>• უზრუნველყოს შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი არამატერიალური აქტივების იდენტიფიცირება და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით;</li> <li>• მიზანშეწონილია ადმინისტრაციამ ყოველი წლის ბოლოს შეაფასოს არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები და იმ შემთხვევაში, თუ სასარგებლო მომსახურების ვადები განსხვავებული იქნება არსებული შეფასებისგან, ცვლილებები ასახოს როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, სსბასს 3-ის შესაბამისად.</li> </ul> |
| <b>რეკომენდაციის შესრულების სტატუსი</b> | სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია – შეუსრულებელი.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| <b>რეკომენდაცია</b>                     | <p>ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით მნიშვნელოვანია ქონების ეროვნულმა სააგენტომ და საზღვაო აკადემიამ განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებზე ყოველწლიურად ჩაატაროს გაუფასურების ტესტირება სსბასს 31-ის მოთხოვნების შესაბამისად.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
| <b>რეკომენდაციის შესრულების სტატუსი</b> | სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო – შესრულებული; სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია – შესრულებული.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
| <b>რეკომენდაცია</b>                     | <p>აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად და ფინანსური აქტივების დაკარგვის რისკის შესამცირებლად, სამინისტროს სტრუქტურაში შემავალმა ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა ინვენტარიზაცია ჩაატარონ და ინვენტარიზაციის შედეგები ასახონ ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნათა შესაბამისად. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სამინისტროს შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულმა დაადგინოს მინერალური რესურსების სააგენტოში გამოვლენილი დანაკლისების გამომწვევი მიზეზები და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.</p>                                                                                                                       |
| <b>რეკომენდაციის შესრულების სტატუსი</b> | სამინისტროს აპარატი; სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო; სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია; სსიპ – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო; სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |

სააგენტო; სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო; სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო; სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია – შესრულებული.

|                                         |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
|-----------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>რეკომენდაცია</b>                     | კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობს განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას როგორც სამინისტროს აპარატში, ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფ ერთეულებში. |
| <b>რეკომენდაციის შესრულების სტატუსი</b> | სამინისტროს აპარატი – მიმდინარე; სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო – მიმდინარე.                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
| <b>რეკომენდაცია</b>                     | საქართველოს მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიმუშაოს სანქციებთან, ჯარიმებთან და საურავებთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა. შესაბამისმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ შემოსავლების აღრიცხვა ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად.     |
| <b>რეკომენდაციის შესრულების სტატუსი</b> | სამინისტროს აპარატი – მიმდინარე.<br>სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო; სსიპ – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო; სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო; სსიპ – საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო – შესრულებული.                                                                    |
| <b>რეკომენდაცია</b>                     | ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით მნიშვნელოვანია სამინისტროს აპარატმა განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებზე ყოველწლიურად ჩაატაროს გაუფასურების ტესტირება სსპას 31-ის მოთხოვნების შესაბამისად.                                                                                                                                                       |
| <b>რეკომენდაციის შესრულების სტატუსი</b> | სამინისტროს აპარატი – შესრულებული.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
| <b>რეკომენდაცია</b>                     | კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით სამინისტროს აპარატმა და ქონების ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული ადმინისტრირებადი მუხლების აღრიცხვასთან დაკავშირებით და ამ მუხლებთან დაკავშირებული ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში წარადგინოს აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად.                                    |

**რეკომენდაციის შესრულების  
სტატუსი**

სამინისტროს აპარატი – მიმდინარე; სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული  
სააგენტო – მიმდინარე.

**რეკომენდაცია**

თანხების არსებითობისა და მისი შინაარსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია  
სააგენტოს მიერ ყოველწლიურად ფასდებოდეს პირგასამტეხლოების  
დაკისრების და ამოღების შესაძლებლობა. ამასთანავე, ფინანსური ანგარიშგების  
მომხმარებლებისათვის სამართლიანი ინფორმაციის მოწოდების მიზნით  
დაკისრებული პირგასამტეხლოების შესახებ ინფორმაცია ფინანსურ  
ანგარიშგებაში აღირიცხოს აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნების  
შესაბამისად.

**რეკომენდაციის შესრულების  
სტატუსი**

სამინისტროს აპარატი – მიმდინარე; სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული  
სააგენტო – მიმდინარე.

**რეკომენდაცია**

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით მნიშვნელოვანია  
ქონების ეროვნულმა სააგენტომ ხანდაზმული და გაურკვეველი  
დავალიანებების მართვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენასთან  
დაკავშირებით შეიმუშაოს სათანადო მიდგომა და სააღრიცხვო პოლიტიკა.

**რეკომენდაციის შესრულების  
სტატუსი**

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო – მიმდინარე.

**რეკომენდაცია**

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით სსიპ-მა – აწარმოე  
საქართველოში კომერციული ბანკებიდან მოიპოვოს დეტალური ინფორმაცია,  
სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში  
საფინანსო ინსტიტუტების მიმართ წარმოქმნილი დავალიანებების შესახებ და  
ინფორმაცია დავალიანებების შესახებ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახოს  
აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად.

**რეკომენდაციის შესრულების  
სტატუსი**

შესრულებული.

## საკონტაქტო ინფორმაცია

|                                                                                              |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
|----------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| გაცემული<br>რეკომენდაციების<br>შესრულების<br>მონიტორინგის<br>პროცესზე<br>პასუხისმგებელი პირი | ანა ბურდიაშვილი<br><a href="mailto:aburdiashvili@sao.ge">aburdiashvili@sao.ge</a>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
| სახელმწიფო აუდიტის<br>სამსახურის<br>რეკომენდაციების<br>შესრულების<br>მონიტორინგის სისტემა    | <a href="https://aris.sao.ge/">https://aris.sao.ge/</a>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
| ვებგვერდი და<br>სოციალური მედია                                                              | <a href="https://www.sao.ge/">https://www.sao.ge/</a><br><a href="https://www.budgetmonitor.ge/ka">https://www.budgetmonitor.ge/ka</a><br><a href="http://www.blog.sao.ge/">http://www.blog.sao.ge/</a><br><a href="http://www.sai.ge/main/">http://www.sai.ge/main/</a><br><a href="https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/">https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/</a><br><a href="https://www.youtube.com/user/saogeorgia">https://www.youtube.com/user/saogeorgia</a><br><a href="https://www.facebook.com/www.sao.ge">https://www.facebook.com/www.sao.ge</a> |
| ცხელი ხაზი                                                                                   | (+995 32) 243 81 81                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
| ელფოსტის მისამართი                                                                           | <a href="mailto:sao@sao.ge">sao@sao.ge</a>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |

სახელმწიფო აუდიტის სამსახური  
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96  
+995 32 243 84 38

**SAO.GE**